ხელშეკრულება № 351

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

„25“ „აპრილი“ 2013წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16 ტელეფონი: 226-13-36, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი ჯავახიშვილის სახით და შპს „იუ-ჯი-თი“ (მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №17ა, ტელ: 2 22-05-05, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE88BG0000000261644601, სს „საქართველოს ბანკი“, კოდი BAGAGE22, სკ-204892964), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ერმილე სულაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

პლანშეტური კომპიუტერების (პლანშეტების) მიწოდება (CPV კოდი - 30213200)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5270 (ხუთი ათას ორასსამოცდაათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და დანართი №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

5.2 მიწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო პერიოდში;

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ვასილ გვენცაძე და სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი ინჟინერი ვაჟა ჩალაური, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ, როგორც ინდივიდუალურად ასევე ერთობლივად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება საგარანტიო ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს საგარანტიო ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს მამუკა კვირიკაშვილი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიმ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი)

დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ტელეფონი: 226-13-36, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ - 204862078	შპს „იუ-ჯი-თი", მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №17ა, ტელეფონი: 2 22-05-05, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE88BG0000000261644601, სს „საქართველოს ბანკი", კოდი BAGAGE22, სკ-204892964

საქონლის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8
პლანშეტური კომპიუტერები (ტაბლეტები) (CPV კოდი - 30213200)	Ipad mini 64 gb 4G • Display: LED-backlit LCD, capacitive touchscreen (Multi Touch), 16M colors. 768 x 1024 pixels, 7.9 inches (~162 ppi pixel density) • Body Dimensions: 200 x 134.7 x 7.2 mm. Color: Black • Storage: 64GB • RAM: 512 MB • CPU: Dual-core 1 GHz • OS: ლიცენზირებული ოპერაციული სისტემა IOS. • Camera: Primary 5MP, Secondary 1.2MP. • Weight: 312 გრ • Non-removable Li-Po 16.3 Wh battery, Talk time up to 10 h. • Network: 802.11a/b/g/n Wi-fi, dual-band, 4G. • Magnetic leather case.	კომპლექტი	4	1317,50	5270,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში	ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№16

სულ: 5270,00 ლარი დღგ-ს ჩათვლით

შემსყიდველი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16,
ტელეფონი: 226-13-36,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ - 204862078

მიმწოდებელი
შპს „იუ-ჯი-თი",
მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №17ა,
ტელეფონი: 2 22-05-05,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი", კოდი BAGAGE22
სკ-204892964